

ფიტპას მომსახურების სტანდარტული პირობები (შემდგომში - „მომსახურების პირობები“ ან „პირობები“)

**1. შესავალი**

- 1.1 წინამდებარე პირობებში გამოყენებული ტერმინი „კომპანია“ გულისხმობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფიტპასს ჯორჯიას“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ს/კ: 406271895, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, გარეკახეთის ქუჩა N 6.
- 1.2 წინამდებარე პირობებში გამოყენებული ტერმინის „მომხმარებელი“ გულისხმობს ნებისმიერი ფიზიკურ ან იურიდიულ პირს რომელიც სარგებლობს ამ ვებ-გვერდით ან მასზე განთავსებული სერვისებით/პროდუქტებით და ამით ეთანხმება წინამდებარე პირობებს.
- 1.3 წინამდებარე პირობები არეგულირებს იმ ურთიერთობებს რომელიც წარმოიშვება კომპანიასა და მომხმარებელს შორის, ვებ-გვერდით [www.fitpass.ge](http://www.fitpass.ge) (შემდგომში - „კომპანიის ვებ-გვერდი“ ან „ვებ-გვერდი“) და კომპანიის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისებით სარგებლობისას.
- 1.4 მომხმარებლის მიერ ამ ვებ-გვერდის გამოყენება და მასზე არსებული სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობა გულისხმობს რომ მომხმარებელი სრულიად გაცნობილია და ეთანხმება ამ პირობებს. თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ პირობებს, გთხოვთ წუ ისარგებლებთ ამ ვებ-გვერდით ან მასზე განთავსებული სერვისებით/პროდუქტებით.
- 1.5 მომხმარებლის მიერ ამ ვებ-გვერდის გამოყენება და მასზე არსებული სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობა აგრეთვე გულისხმობს რომ მასსა და კომპანიას შორის კომუნიკაცია იწარმოებს ამ პირობებით დადგენილი წესით.

**2. კომპანიის ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**

- 2.1 ამ ვებ-გვერდზე განთავსებულ ნებისმიერ მასალაზე სრული საავტორო და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები ეკუთვნის კომპანიას და იგი დაცულია კანონით. ამ ვებ-გვერდზე განთავსებული ნებისმიერი მასალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ კომპანიის ნებართვით და ამ პირობებით დადგენილი წესებით.
- 2.2 კომპანია აგრეთვე არის მის მიერ შეთავაზებულ სერვისებთან/პროდუქტებთან დაკავშირებული ნებისმიერი მასალის, სრული საავტორო და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მესაკუთრე.
- 2.3 საავტორო და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით დაცული ნებისმიერი მასალის კოპირება, გადაცემა, გადმოწერა, გამოქვეყნება, მოდიფიცირება ან სხვაგვარი გადამუშავება აკრძალულია კომპანიის თანხმობის გარეშე.
- 2.4 კომპანიის კუთვნილი საავტორო ან და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის შემთხვევაში კომპანია უფლებას იტოვებს მიმართოს შესაბამის სამართლებრივ

გზებს ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ, მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება ან/და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოქმედება.

### **3. მომსახურების პირობების ცვლილება**

- 3.1 კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს, მომხმარებლის წინასწარი ინფორმირების გარეშე, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს ამ პირობებში.
- 3.2 წინამდებარე პირობებში განხორციელებული ცვლილება მათ შორის შეიძლება შეეხებოდეს მომსახურების ფასის ზრდას, ან ახალი გადასახდელის დაწესებას. შესაბამისად, მომხმარებლისთვის რეკომენდებულია პერიოდულად გადაამოწმოს წინამდებარე პირობები რათა ინფორმირებული იყოს მასში არსებული ცვლილებებისა და განახლებების შესახებ.
- 3.3 წინამდებარე პირობებში ცვლილებების შესახებ ინფორმირებულობა წარმოადგენს მხოლოდ მომხმარებლის პასუხისმგებლობას.
- 3.4 იმ შემთხვევაში თუ კი ამ პირობებში ცვლილებების შეტანის შემდეგ მომხმარებელი კვლავაც განაგრძობს ამ ვებ-გვერდით და მასზე განთავსებული სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობას, მიიჩნევა რომ მომხმარებელი დაეთანხმა შეცვლილ პირობებს.
- 3.5 ნებისმიერი ცვლილება ძალაში შედის ამ ვებ-გვერდზე განახლებული პირობების გამოქვეყნების მომენტიდან.

### **4. კომპანიის ვებ-გვერდის გამოყენების წესები**

- 4.1 ნებისმიერი მომხმარებელი ვალდებულია ვებ-გვერდი: [www.fitpass.ge](http://www.fitpass.ge) გამოიყენოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და ამ პირობებით დადგენილი წესების დაცვით.
- 4.2 ვებ-გვერდის: [www.fitpass.ge](http://www.fitpass.ge) გამოყენების მთავარი მიზანი არის კომპანიის სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობა, მომხმარებლებს შორის, აგრეთვე მომხმარებლებსა და კომპანიას შორის, კომპანიის სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობის შესახებ გამოცდილებისა და შთაბეჭდილების გაზიარება.
- 4.3 მომხმარებლებს უფლება აქვთ გადმოიწერონ და შეინახონ ვებ-გვერდზე განთავსებული და კომპანიის საავტორო უფლებებით დაცული ნებისმიერი მასალა მხოლოდ და მხოლოდ პირადი/პერსონალური გამოყენების მიზნით.
- 4.4 მომხმარებელს უფლება არ აქვს ვებ-გვერდის მეშვეობით გამოაქვეყნოს, გადასცეს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს ნებისმიერი ისეთი მასალა რაც არღვევს სხვის უფლებებს, არის შეურაცხმყოფელი ან ცილისმწამებლური ხასიათის ან რომელიც საფრთხეს უქმნის კომპანიის რეპუტაციას ან არღვევს სხვების პერსონალურ მონაცემთა კონფიდენციალობას, არის კანონსაწინააღმდეგო ფორმის ან შინაარსის ან ნებისმიერი სხვა ფორმით არღვევს კანონს.

4.5 კომპანიას უფლება აქვს დამოუკიდებლად და საკუთარი დისკრეციის ფარგლებში შეაფასოს ესა თუ ის მასალა ან მომხმარებლის ნებისმიერი მოქმედება არღვევს თუ არა სხვების უფლებებს და ამ პირობებით დადგენილ წესებს.

## 5. კომპანიის სერვისები და მისი სარგებლობის პირობები

### 5.1 კომპანიის სერვისები

5.1.1 კომპანიის მიერ ვებ გვერდის საშუალებით მიწოდებული სერვისები არის კომპლექსური და მოიცავს როგორც ვებგვერდზე განთავსებულ მასალას, ფინანსური ტრანზაქციების განხორციელებას, სერვისების გაყიდვის ორგანიზებას და სერვისების გაწევას ინტერნეტის გზით.

### 5.2 სერვისებით სარგებლობის პირობები

5.2.1 კომპანიის სერვისების მიწოდება და სარგებლობა ხდება წინამდებარე პირობების შესაბამისად რომელიც წინასწარ და საჯაროდ არის გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე: [www.fitpass.ge](http://www.fitpass.ge)

5.2.2 კომპანია, სერვისის მიწოდების ფარგლებში და სათანადო ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ მომხმარებლებს აძლევს წვდომას სხვადასხვა სპორტული და რეკრეაციული დაწესებულებების სერვისებზე და აგრეთვე სთავაზოს სხვა ტიპის მომსახურებებს, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე: [www.fitpass.ge](http://www.fitpass.ge)

5.2.3 კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს კომპანიის ვებ გვერდის [fitpass.ge](http://fitpass.ge) საშუალებით შეთავაზებული სერვისების მიწოდება ამ პირობების შესაბამისად, რომელიც ძალაში იყო მომხმარებლის მიერ მისი დათანხმების მომენტში.

5.2.4 იმისათვის რათა ისარგებლოს კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისებით, მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს შესაბამისი ტექნიკური ან/და პროგრამული აღჭურვილობა (მოწყობილობა) რომლის შექმნაზე, გამოყენებასა და ფუნქციონირებაზე მხოლოდ თავად არის პასუხისმგებელი. მომხმარებელი თავად არის პასუხისმგებელი ყველა აღჭურვილობაზე/მოწყობილობაზე და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

5.2.5 კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისის ფასები განთავსებულია ვებგვერდზე და იგი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

5.2.6 კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მის მიერ შეთავაზებული ერთი ან რამდენიმე სერვისის ფასი, წინასწარი შეტყობინების გარეშე.

5.2.7 კომპანიის მიერ ვებგვერდის მეშვეობით შეთავაზებული სერვისები შეთავაზებულია როგორც პაკეტები, რომელიც მორგებულია სხვადასხვა მომხმარებელზე. კონკრეტული სერვისის პაკეტის პირობები ცვლილებებს არ

- ექვემდებარება და მომხმარებლის მიერ განცხადებული თანხმობა გულისხმობს მთლიან სერვის პაკეტზე თანხმობის განცხადებას.
- 5.2.8 კომპანიის მიერ შეთავაზებული ყველა სერვისი/პროდუქტი გულისხმობს სპორტულ და რეკრეაციული დაწესებულებების სერვისებზე/პროდუქტებზე წვდომას, რომელთა შესახებ ინფორმაციაც წინასწარ მოცემულია ვებ-გვერდზე. თითოეული დაწესებულების სერვისებით სარგებლობა ხდება ამ დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების მიხედვით და მომხმარებლის მიერ შერჩეული ბარათისა და პაკეტის მიხედვით, რაზეც კომპანია არ არის პასუხისმგებელი.
- 5.2.9 კომპანია არ არის კომპანიის ვებგვერდის საშუალებით შეთავაზებული არც ერთი პროდუქტის/სერვისის მესაკუთრე, განმახორციელებელი ან რაიმე სხვაგვარი უფლების მქონე. ყველა და ნებისმიერი პროდუქტი/სერვისი რომლის შეთავაზებაც ხორციელდება კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით ეკუთვნით კომპანიის პარტნიორ სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ არიან კონკრეტული პროდუქტის/სერვისის მესაკუთრეები და ახორციელებენ მის მიწოდებას მომხმარებლისთვის. შესაბამისად, ნებისმიერ პრობლემაზე/ხარვეზზე/ზიანზე ან სხვაგვარ შედეგზე რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროდუქტით/სერვისით სარგებლობის პროცესში, ექსკლუზიური პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ შესაბამის პარტნიორ სუბიექტს.
- 5.2.10 იმისათვის რათა მომხმარებელმა შეძლოს კომპანიის მიერ შემოთავაზებული სერვისებით სარგებლობა აუცილებელია რომ იგი დარეგისტრირდეს ვებ-გვერდზე და შექმნას მისი პირადი ანგარიში.
- 5.2.11 კომპანიის ვებგვერდზე პირადი ანგარიშის შექმნა ხდება ვებ-გვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმის შევსებით და მომხმარებლის შესახებ მოთხოვნილი ყველა შესაბამისი ინფორმაციის დაფიქსირებით.
- 5.2.12 კომპანიის ვებ-გვერდზე პირადი ანგარიშის შექმნის შემდეგ მომხმარებელი მიიჩნევა რეგისტრირებულ მომხმარებელად და მას უფლება ეძლევა ქონდეს წვდომა საიტზე განთავსებულ ყველა მასალაზე/პროდუქტზე. ვებგვერდზე პირადი ანგარიშის შექმნით მომხმარებელი ადასტურებს რომ იგი მთლიანად გაეცნო და ეთანხმება ამ მომსახურების პირობებს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას.

### 5.3 პროდუქტით/სერვისით სარგებლობის წესების ცვლილება

- 5.3.1 კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს ამ ვებ-გვერდზე შეთავაზებული სერვისები/პროდუქტები. ცვლილება შეიძლება გულისხმობდეს როგორც მომსახურების/პროდუქტის შინაარსის ცვლილებას, აგრეთვე უშუალოდ ვებ-გვერდის ან განთავსებული მასალის ცვლილებას.
- 5.3.2 ამ მუხლის 5.3.1 პუნქტის მიხედვით, მომსახურების/პროდუქტის ცვლილება ასევე შეიძლება მოიცავდეს ვებ-გვერდით სარგებლობის წესების შეცვლას, მათ შორის (თუმცა არა მხოლოდ), ვებ-გვერდით სარგებლობის დროების ან სხვაგვარი ტექნიკური მოთხოვნის დაწესებას/შეცვლას.

- 5.3.3 კომპანიამ შესაძლოა ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კომპანიის სერვისების/პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, აგრეთვე შეიძლება შეცვალოს მონაცემთა გადაცემის ფორმა, სიჩქარე და ნებისმიერი ის ფუნქცია რაც დაკავშირებული ვებგვერდით სარგებლობასთან.
- 5.3.4 კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მის მიერ შეთავაზებული სერვისები აგრეთვე ნებისმიერი სერვისის პაკეტი, კომპანიის პარტნიორი სუბიექტის შეთავაზების მიხედვით, რომელიც უშუალოდ აწვდის მომსახურებას მომხმარებელს.
- 5.3.5 კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს შეცვალოს მომსახურების ფასები, ნებისმიერ სერვისზე ან სერვისის პაკეტზე.

## 5.4 საჩივრები და კომპენსაცია

- 5.4.1 კომპანიისთვის მომხმარებლის აზრი მნიშვნელოვანია, ამიტომ მომხმარებელს უფლება აქვს ამ ვებგვერდზე შექმნილი მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით დააყენოს საჩივარი და მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა.
- 5.4.2 მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება (კომპენსაცია) მხოლოდ სათანადო დასაბუთების საფუძველზე, შესაბამისი მომსახურების შექმნიდან 14 დღის განმავლობაში, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით: [info@fitpass.ge](mailto:info@fitpass.ge)
- 5.4.3 ამ პირობების 5.4.1 და 5.4.2 პუნქტებით გათვალისწინებული კომპენსაცია შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი კომპანიის პარტნიორი სუბიექტი, რომელიც კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით ახორციელებს პროდუქტის/სერვისის შეთავაზებას, არ ან ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი პროდუქტის/სერვისის მიწოდებას მომხმარებლისთვის იმ პირობებით როგორც ეს შეთავაზებული იყო ვებგვერდის საშუალებით და იმ პირობით თუ კი მომხმარებლის მიერ შექმნილი ფიტპას ბარათი ძალაში არის.
- 5.4.4 დაუშვებელია რაიმე სახის კომპენსაციის მოთხოვნა მომხმარებლის მიერ შექმნილი ბარათის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

## 6. კონფიდენციალურობა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

### 6.1 მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა

- 6.1.1 ამ პირობების 5.2.9 და 5.2.10 მუხლებით დადგენილია რომ მომხმარებელმა კომპანიის სერვისებით სარგებლობისთვის უნდა შეავსოს ვებგვერდზე განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა, შეიყვანოს მისი პირადი მონაცემები და

- შექმნას პირადი ანგარიში. აღნიშნული ქმედების განხორციელების შემდეგ კომპანია ხდება მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მფლობელი.
- 6.1.2 მომხმარებლები თავად არიან პასუხისმგებელი მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე და კომპანია არ არის ვალდებული შეამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში თუ კი კომპანიის მიერ ან კომპანიის პარტნიორი სუბიექტის მიერ მომსახურების მიწოდებისას კომპანია თავად (ან პარტნიორი სუბიექტის მეშვეობით) აღმოაჩენს რომ მომხმარებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასწორია, კომპანია უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მომსახურების მიწოდება, გააუქმოს ასეთი მომხმარებლის მიერ შექმნილი პირადი ანგარიში და ყველა პარტნიორ სუბიექტს შეატყობინოს ამის შესახებ.
- 6.1.3 კომპანია უფლებამოსილია მის მიერ ვებგვერდის საშუალებით მომხმარებლის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს კომპანიის მიერ მიწოდებული სერვისების/პროდუქტების მიწოდებასა სარგებლობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად რათა უზრუნველყოს ხარისხის გაუმჯობესება, აწარმოოს სტატისტიკა ან სხვა მსგავსი მიზნებისთვის რაც უკავშირდება თავად კომპანიის საქმიანობას.
- 6.1.4 კომპანია მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს რათა უზრუნველყოს მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალობა და მისი დაცულობა დაუსაბუთებელი/უნებართვო წვდომისგან.
- 6.1.5 **პერსონალური მონაცემები**
- 6.1.5.1 პერსონალურ მონაცემებს განეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კონკრეტული პირის იდენტიფიკაცია. იმისათვის რათა მომხმარებელმა შეძლოს კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობა, აუცილებელია რომ მან კომპანიას მიაწოდოს მისი პერსონალური მონაცემები.
- 6.1.5.2 კომპანიის მომსახურების/პროდუქტის შეკვეთისთვის, მიღებისთვის ან სარგებლობისთვის მომხმარებელმა კომპანიას უნდა მიაწოდოს, შემდეგი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, დაბადების თარიღი. ამ პერსონალური მონაცემების სია შეიძლება გაიზარდოს კომპანიის გადაწყვეტილებით, შეთავაზებული სერვისის/პროდუქტის შინაარსის ან/და გონივრული საჭიროების მიხედვით.
- 6.1.5.3 იმ შემთხვევაში როდესაც კომპანიის სერვისის/პროდუქტის შექმნა ხდება ვებგვერდის მეშვეობით, მომხმარებელი ვალდებულია კომპანიას მიაწოდოს ინფორმაცია მის მიერ გამოყენებული საგადახდო საშუალების (საბანკო ბარათის) შესახებ, კერძოდ: ბარათის ნომერი, მისი მოქმედების ვადა, დამცავი კოდი და აგრეთვე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია რაც აუცილებელია შესაბამისი საგადახდო საშუალებით სარგებლობისთვის.

- 6.1.5.4 იმისდა მიხედვით თუ ვებგვერდზე განთავსებული რომელი სერვისის/პროდუქტის შექმნა სურს მომხმარებელს, მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელია იყოს სავალდებულო ან ნებაყოფლობითი. იმ შემთხვევაში თუ კი მომხმარებელს არ სურს იმ ინფორმაციის მიწოდება რაც კომპანიის მიერ სავალდებულოდ არის მოთხოვნილი შესაბამისი კონკრეტული სერვისით/პროდუქტით სარგებლობისთვის, მომხმარებელი ვერ შეძლებს ამ სერვისით/პროდუქტით სარგებლობას.
- 6.1.5.5 კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს მომხმარებლის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები იმ მიზნით რათა მომხმარებელს შესთავაზოს უკეთესი ან ახალი პროდუქტი/სერვისი, გააუმჯობესოს ხარისხი, განახორციელოს სერვისის/პროდუქტის მიწოდებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ადმინისტრაციულ/ტექნიკური მოქმედება, აწარმოოს კომუნიკაცია მომხმარებელთან, გააუმჯობესოს კომპანიის მარკეტინგის მუშაობა და პროდუქტის/სერვისის შეთავაზების/რეკლამირების ხარისხი, აგრეთვე კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, სამართალდამცავ, საგამომიებო ან სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის მოთხოვნის შესასრულებლად.
- 6.1.5.6 კომპანია უფლებას იტოვებს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები გაუმჯობესოს შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტს (ბანკს) და იმ პარტნიორ სუბიექტს რომელიც უშუალოდ ახორციელებს მომსახურების/პროდუქტის მიწოდებას მომხმარებლისათვის, მხოლოდ იმ მოცულობით რაც საჭიროა მომხმარებლის მიერ პროდუქტის/სერვისის შესაძენად და მისით სარგებლობისთვის. კომპანია აგრეთვე უფლებას იტოვებს გაამჯობესოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, სამართალდამცავ, საგამომიებო ან სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის მოთხოვნის შესასრულებლად. კომპანია არ გაუმჯობესებს მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს ნებისმიერ სხვა სუბიექტს ან/და ნებისმიერი სხვა მიზნით და ამავე დროს კომპანია პასუხისმგებელი არ იქნება ნებისმიერ იმ შედეგზე რაც შეიძლება დადგეს ამ სუბიექტებისთვის, ამ მუხლში მითითებული მიზნებით, მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გადაცემის ან ამ სუბიექტების მიერ ამ მონაცემების გამოყენების შედეგად.
- 6.1.5.7 კომპანია უფლებას იტოვებს დაიტოვოს მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მომხმარებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის ან მომსახურების/პროდუქტის მიწოდების დასრულების შემდეგაც, იმისათვის რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ კომპანიასთან ხელახალი სახელშეკრულებო ურთიერთობის დაწყების ან პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობის განახლების გამარტივება. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები დაცული იქნება სპეციალურ

სივრცეში, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ კომპანიის შესაბამისი ავტორიზებული თანამშრომლებისთვის.

#### **6.1.6 განზოგადებული (ზოგადი) სახის მონაცემები**

- 6.1.6.1 განზოგადებული სახის მონაცემებს მიეკუთვნება ისეთი ინფორმაცია, რომლითაც არ ხდება კონკრეტული პირის იდენტიფიკაცია. მაგალითად, ზოგადი სახის მონაცემებს განეკუთვნება ვებგვერდზე მომხმარებელთა ვიზიტის რაოდენობა, კომპანიის ვებ-გვერდით სარგებლობამდე ან სარგებლობის შემდეგ მომხმარებლის მიერ გამოყენებული სხვა ვებგვერდის შესახებ ინფორმაცია, მომხმარებლის მიერ გამოყენებული ბრაუზერი, ინტერნეტ მომსახურების პროვაიდერის მისამართი (IP მისამართი) და სხვა.
- 6.1.6.2 კომპანია ავტომატურად აგროვებს და ინახავს მსგავსი ტიპის განზოგადებულ ინფორმაციას სხვადასხვა ელექტრონული პროგრამებისა და საშუალებების გზით, მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე შემოსვლისას.
- 6.1.6.3 ზოგადი ხასიათი მონაცემები შესაძლებელია კომპანიამ გამოიყენოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი მიზნით, მათ შორის იმისათვის რათა უზრუნველყოს ვებგვერდის უკეთესი ადმინისტრირება, გააუმჯობესოს მისი მარკეტინგული სტრატეგია და სერვისის/პროდუქტის რეკლამირების შედეგები, გააუმჯობესოს მიწოდებული პროდუქტის/სერვისის ხარისხი, შეაგროვოს დემოგრაფიული მონაცემები, გაანალიზოს ბაზრის ტენდენციები და მიმართულებები, გაანალიზოს კომპანიის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობა და აგრეთვე კანონმდებლობის მოთხოვნის საფუძველზე, სამართალდამცავ, საგამომიებო ან სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის მოთხოვნის შესასრულებლად.

#### **6.1.7 კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით**

- 6.1.7.1 მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე პირადი ანგარიშის შექმნის შემდეგ, მომხმარებელი ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებს კომპანიის მიერ გამოგზავნილ ადმინისტრაციული ხასიათის ან სარეკლამო წერილებს.
- 6.1.7.2 ადმინისტრაციული ხასიათის წერილები როგორც წესი შეეხება მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდით სარგებლობას, მომხმარებლის პირად ანგარიშს, მომხმარებლის მოთხოვნებს/შეკითხვებს, მომხმარებლის მიერ სხვადასხვა პროდუქტის/სერვისის ღირებულების გადახდას ან ამ პროდუქტით/სერვისით სარგებლობას. მსგავსი სახის ადმინისტრაციული



წერილების მიღება მომხმარებლისთვის სავალდებულოა და მომხმარებელს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს ამ წერილების მიღებაზე.

6.1.7.3 სარეკლამო ხასიათის წერილები როგორც წესი გულისხმობს სხვადასხვა სერვისის/პროდუქტის რეკლამირებას და შეთავაზებას. მსგავსი ხასიათის წერილები ეგზავნება მხოლოდ იმ მომხმარებლებს რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სარეკლამო წერილების მიღებაზე. თუ მომხმარებელს არ სურს მსგავსი სარეკლამო წერილების მიღება, მას უფლება აქვს, პირადი ანგარიშის შექმნის შემდეგ ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ამ წერილების მიღებაზე, ელექტრონული ფოსტით შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

6.1.7.4 ამ პირობებში მოცემული კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა შეეხება ყველა იმ ინფორმაციას რომელიც კომპანიის მიერ შეგროვებული და შენახული იქნება მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდით სარგებლობის შედეგად.

6.1.8 კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ამ პირობებში მოცემული კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, ხოლო შეცვლილი პოლიტიკა ძალაში შევა კომპანიის მიერ მისი ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

6.1.9 კომპანიის მიერ კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკის ცვლილების შემდეგ, თუ მომხმარებელი კვლავაც აგრძელებს ამ ვებგვერდით სარგებლობას, იგულისხმება რომ მომხმარებელი ეთანხმება განახლებულ პოლიტიკას. შესაბამისად, რეკომენდებულია რომ მომხმარებელმა პერიოდულად შეამოწმოს ამ პირობებში მოცემული კონფიდენციალობისა და მონაცემთა დაცვის პოლიტიკა რათა ინფორმირებული იყოს ნებისმიერ სიახლეზე.

## 6.2 ფინანსური ინფორმაციის დაცულობა

6.2.1 მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე სერვისის/პროდუქტის საბანკო ბარათით შეძენისას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამ მუხლის 6.1.5.3 პუნქტში მოცემული ინფორმაცია, რაც მიიჩნევა კონფიდენციალურად და იგი დაცულია კომპანიის მიერ.

6.2.2 საბანკო ბარათის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია გადაიცემა საჯარო ქსელით, დაცული (encrypted) ფორმით, SSL (Secure Socket Layer) პროტოკოლისა და the PKI სისტემის გამოყენებით. მომხმარებლის მიერ გამოყენებული სერვისის/პროდუქტის შეძენის დროს გამოყენებული საბანკო ბარათის უსაფრთხოება და დაცულობა გარანტირებულია საგადახდო სისტემის ოპერატორის მიერ, შესაბამისად უშუალოდ გადახდის პროცედურა ხორციელდება ბანკის (ან/და საგადახდო სისტემის ოპერატორის) ვებგვერდზე.

### 6.3 კომუნიკაცია

- 6.3.1 მომხმარებელი თანხმდება და ადასტურებს, რომ მასთან წარმოებული ნებისმიერი სხვა კომუნიკაცია, მათ შორის, ფორუმების, ბლოგების, ან პირადი მესიჯების სახით არის საჯარო ხასიათის და არ განიხილება როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია. შესაბამისად კომპანიას უფლება აქვს მონიტორინგი გაუწიოს ამ კომუნიკაციას მომხმარებლის წინასწარი შეტყობინების ან რაიმე სახის თანხმობის გარეშე.
- 6.3.2 კომპანია არ აკონტროლებს მის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ან ვებგვერდის საშუალებით წარმოებული კომუნიკაციის შინაარსს, შესაბამისად კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ შედეგზე, ან ქმედებაზე რაც შეიძლება მომხმარებელმა განახორციელოს კომპანიის ვებგვერდზე ან ამ ვებგვერდის მეშვეობით.

### 7. არასრულწლოვანი მომხმარებლები

- 7.1 დაუშვებელია წინამდებარე ვებგვერდის გამოყენება 15 წლამდე პირების მიერ დამოუკიდებლად, მშობლის ან მისი სხვა კანონიერი წარმომადგენლის ნებართვისა და მეთვალყურეობის გარეშე.
- 7.2 15 წლამდე პირებმა შესაძლებელია გამოიყენოს კომპანიის ვებგვერდი და კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისები/პროდუქტები შეზღუდული სახით, ასეთი პირების მშობლების ან მისი სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ ამ პროდუქტის/სერვისის შეძენის გზით, იმ პირობით რომ ასეთი პირების მიერ კომპანიის სერვისებით/პროდუქტებით სარგებლობა მოხდება მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის ფიზიკური თანდასწრებითა და მეთვალყურეობის ქვეშ. ამავე დროს, ასეთ შემთხვევაში, თუ კი 15 წლამდე პირი სარგებლობს მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ შეძენილი სერვისით/პროდუქტით, იმავე დღეს მშობელს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს აღარ აქვს იმავე სერვისით/პროდუქტით სარგებლობის უფლება.
- 7.3 პირებს, რომლებსაც შეუსრულდა 15 წელი თუმცა არ შესრულებია 18 წელი, შეუძლიათ ისარგებლონ კომპანიის სერვისებით/პროდუქტებით იმ შემთხვევაში თუ კი ისინი ფლობენ პირადობის მოწმობას და საკუთარ საბანკო ბარათს.

### 8. კომპანიის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 8.1 მომხმარებელი ეთანხმება წინამდებარე მომსახურების პირობებს, ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და ადასტურებს რომ იგი სარგებლობს კომპანიის სერვისებით მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

## 8.2 პასუხისმგებლობა ტექნიკური გაუმართაობის გამო:

- 8.2.1 მომხმარებელი აცნობიერებს რომ კომპანიის ინტერნეტ ვებგვერდით სარგებლობის დროს შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ხარვეზი წარმოიშვას ქსელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს, მათ შორის, კომპანიის ვებგვერდით სარგებლობის შეფერხება. მსგავსი შემთხვევები კომპანიის კონტროლს მიღმაა და შესაბამისად კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ასეთი შემთხვევების გამო სხვადასხვა მონაცემების დაკარგვაზე ან სხვაგვარად წარმოშობილ ზიანზე.
- 8.2.2 მომხმარებელი აცნობიერებს, ზოგჯერ შესაძლებელია კომპანიის ვებგვერდით სარგებლობა შეფერხდეს ან დროებით შეუძლებელი გახდეს, როგორც კომპანიის მიერ მასზე სამუშაოების წარმოების გამო, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მიზეზით რაც არ არის კომპანიაზე დამოკიდებული და შესაბამისად მასზე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება კომპანიას.
- 8.2.3 კომპანია არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე ან შედეგზე რაც შეიძლება წარმოიშვას ვებგვერდის მუშაობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეფერხებით ან შეჩერებით. მომხმარებელი აცხადებს რომ ასეთ შემთხვევაში იგი არ დააყენებს კომპანიის ან მისი კონკრეტული თანამშრომლის ან წარმომადგენლის პირადი პასუხისმგებლობის საკითხს და არ მოსთხოვს მათ ზიანის ან სხვა ხარჯების (მათ შორის იურიდიული მომსახურების ან სხვა ტიპის ხარჯების) ანაზღაურებას.
- 8.2.4 კომპანია ან მასთან ასოცირებული ნებისმიერი პირი არ იძლევა გარანტიას რომ კომპანიის ვებ-გვერდის მუშაობა არასდროს არ შეფერხდება ან არ წარმოიშვება რაიმე სახის ტექნიკური ხარვეზი. კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ შედეგზე რაც შეიძლება დადგეს ამ ვებგვერდის ან მასზე განთავსებული პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობისას, აგრეთვე ამ ვებგვერდზე განთავსებული ნებისმიერი ინფორმაციის ან/და შეთავაზებული სერვისის/პროდუქტის სიზუსტეზე და სანდოობაზე.
- 8.2.5 კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე ან შედეგზე რაც შეიძლება დადგეს მომხმარებლის ტექნიკის/მოწყობილობების/ელექტრონული ხელსაწყოების მიმართ ამ ვებგვერდით სარგებლობის გამო ან/და შედეგად.
- 8.2.6 პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ მოცემული ეს პირობები ვრცელდება ნებისმიერ არსებულ ან სავარაუდო ზიანზე, რომელიც გამოწვეულია ვებგვერდის მუშაობით, მუშაობის შეფერხებით, კომპიუტერული ვირუსით, მონაცემებზე უკანონო წვდომით, მონაცემთა განადგურებით, მონაცემთა ცვლილებით, ქურდობით, მონაცემების/ინფორმაციის უკანონო მიზნებისთვის გამოყენებით, გაუფრთხილებლობით ან ნებისმიერი სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებით.
- 8.2.7 ინტერნეტ მომსახურების შინაარსიდან გამომდინარე, კომპანია არ იძლევა ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ან მასალის სრულ დაცულობაზე ან მის შესაბამისობაზე კანონმდებლობასთან. შესაბამისად კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის მიერ ვებგვერდზე ან ვებგვერდის მეშვეობით

- განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, მონაცემებზე არაავტორიზებულ ან უკანონო წვდომაზე ან კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამოყენებაზე,
- 8.2.8 მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე საჯაროდ განთავსებული ინფორმაცია შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახდეს სხვა მომხმარებლისთვის ან მესამე პირისთვის თავად ამ მომხმარებლის ცოდნის (შეტყობინების) გარეშე, და კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი მსგავსი ქმედებებიდან წარმოშობილ ზიანზე ან შედეგზე.
- 8.2.9 წინამდებარე პირობებში მოცემული განცხადებები ვრცელდება ნებისმიერ იმ ინფორმაციაზე/მონაცემებზე რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე. კომპანია არ არის პასუხისმგებელი იმ მონაცემებზე/ინფორმაციაზე რაც განთავსებულია ნებისმიერ სხვა ვებგვერდზე რომლის შესახებ ინფორმაციაც განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე. კომპანია რეკომენდაციას უწევს მომხმარებელს რომ ნებისმიერ სხვა ვებგვერდით სარგებლობამდე კარგად გაეცნოს ამ ვებგვერდის გამოყენების პირობებს და კონფიდენციალობის პოლიტიკას.
- 8.2.10 თუ მომხმარებელს სურს ითანამშრომლოს კომპანიასთან და დაეხმაროს კომპანიას მონაცემთა დაცვის ხარისხის გაუმჯობესებაში ან თუ სურს რაიმეს შეცვლა, მას შეუძლია დაუკავშირდეს კომპანიას შემდეგ მისამართზე: [info@fitpass.ge](mailto:info@fitpass.ge)

### **8.3 კომპანიის პასუხისმგებლობის შეზღუდვა მომხმარებლის ან სხვა მესამე პირის მიერ ვებგვერდზე დადებულ მასალაზე/ინფორმაციაზე**

- 8.3.1 მომხმარებელი ადასტურებს რომ კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი სხვა მომხმარებლის ან ნებისმიერი მესამე პირის უკანონო ქმედებაზე.
- 8.3.2 კომპანია არ იძლევა ვებგვერდზე მომხმარებლების ან მესამე პირების მიერ განთავსებული ინფორმაციის ან მასალის სისრულის, სიზუსტის ან/და სრულყოფილების გარანტიას.
- 8.3.3 კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ შედეგზე რაც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელებული მოქმედების შედეგად.
- 8.3.4 კომპანია ემიჯნება და არ არის პასუხისმგებელი ყველა იმ მასალაზე/ინფორმაციაზე რაც განთავსებული იქნება ყველა იმ საიტზე რომელზეც წვდომა შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიის ვებგვერდიდან. თუ მომხმარებელი ეწვევა ნებისმიერ სხვა ვებგვერდს რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე, მომხმარებელი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ შედეგზე, ხოლო კომპანია არ კისრულობს არავითარ პასუხისმგებლობას ასეთი შემთხვევების დროს.
- 8.3.5 კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი მესამე პირის მიერ მომხმარებლის პერსონალური მონაცემების უკანონო მიზნებისთვის გამოყენებაზე, ან ნებისმიერი იმ მიზნით გამოყენებაზე, რაც არ შეესაბამება კომპანიის მიერ ამ მესამე პირისთვის მონაცემების გადაცემის მიზანს. ყველა ასეთი შემთხვევის დროს, კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ზიანზე რაც შეიძლება მიადგეს მომხმარებელს.

## 8.4 კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობა სერვისებსა და პროდუქტებზე

8.4.1 კომპანია არ არის კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული სერვისების/პროდუქტების მფლობელი ან/და მიმწოდებელი. შესაბამისად კომპანია არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ ნაკლზე, დეფექტზე, ზიანზე ან სხვა შედეგზე რაც შეიძლება გამოვლინდეს მომხმარებლის მიერ ამ პროდუქტით/სერვისით სარგებლობისას. ნებისმიერი მსგავს შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ კომპანიის იმ პარტნიორ სუბიექტს რომელიც უშუალოდ აწოდებდა შესაბამის სერვისს/პროდუქტს.

## 9. მომსახურების შეწყვეტა

9.1 კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ურთიერთობა ნებისმიერ მის მომხმარებელთან და გააუქმოს მისი პირადი ანგარიში ვებგვერდზე. ურთიერთობის შეწყვეტა, არ იწვევს მომხმარებლის პასუხისმგებლობის ან ვალდებულებების შეწყვეტას.

## 10. ბათილობა.

10.1 წინამდებარე პირობების რომელიმე ნაწილის გაბათილება გავლენას არ მოახდენს ამ პირობების სხვა ნაწილების ნამდვილობაზე და არ გამოიწვევს მის ბათილობაზე. იმ შემთხვევაში თუ ამ პირობების რომელიმე ნაწილი გახდება ბათილი, იგი ჩანაცვლდება ახალი და ნამდვილი მუხლებით, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება და ახლოს დგას გაბათილებული მუხლის შინაარსთან.

10.2 კომპანიის ან მომხმარებლის მიერ ამ პირობებით დადგენილი რომელიმე უფლების გამოყენებაზე უარის თქმა არ ნიშნავს შესაბამის უფლებაზე უარის თქმას ან ამ უფლების გაუქმებას.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ამ პირობებიდან გამომდინარე ნებისმიერი სამართლებრივი უთანხმოება ან დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკებითა და მშვიდობიანი შეთანხმების გზით.

11.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები ვერ შეძლებენ დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას, დავა განსახილველად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს რომელიც დავას განიხილავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## ფიტპას ბარათის შექმნისა და გამოყენების პირობები (შემდგომში - „ბარათის პირობები“)

### 1. შესავალი

- 1.1 წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს იმ პირობებს რომლის საფუძველზეც მომხმარებელს შეუძლია ფიტპასის ბარათით შეიძინოს სხვადასხვა სერვისები/პროდუქტები.
- 1.2 კომპანიის მომსახურებების შექმნა ხდება ელექტრონულად, ინტერნეტის გზით ხოლო კომპანიის მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ფიტპას ბარათის მეშვეობით და იმ ფასად რაც მოცემულია ვებგვერდზე.
- 1.3 მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე სერვისის შექმნა ავტომატურად გულისხმობს რომ მომხმარებელი გაეცნო და ეთანხმება მომსახურების პირობებს და ბარათის პირობებს. თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ პირობებს, გთხოვთ ნუ ისარგებლებთ ამ ვებგვერდით და ნუ შეიძენთ ფიტპას ბარათს.
- 1.4 ბარათის პირობები წარმოადგენს მომსახურების პირობების შემადგენელ ნაწილს და ყველა ის წესი რაც მოცემულია მომსახურების პირობებში ვრცელდება ბარათის პირობებზეც, თუ თავად ბარათის პირობებით საწინააღმდეგო არ არის დადგენილი.

### 2. ცვლილებები ბარათის პირობებში

- 2.1 კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს შეცვალოს ბარათის პირობები, გააუქმოს ბარათი, შეცვალოს ფიტპას ბარათით შესაძენი სერვისების ჩამონათვალი ან განახორციელოს სხვა ცვლილება მომხმარებლის წინასწარი შეტყობინების გარეშე
- 2.2 ბარათის პირობებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მომხმარებლის ინფორმირებულობა არის მხოლოდ და მხოლოდ თავად მომხმარებლის პასუხისმგებლობა.
- 2.3 თუ კი ბარათის პირობებში ცვლილების განხორციელების შემდეგ მომხმარებელი კვლავაც განაგრძობს კომპანიის სერვისებით სარგებლობას, იგულისხმება რომ იგი დაეთანხმა ცვლილებებს.

### 3. კომპანიის ვებგვერდზე ფიტპას ბარათის შექმნა

- 3.1 მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს ფიტპას ბარათის საფასურის გადახდა კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით და ამ ვებგვერდზე განთავსებული პირობებისა და ინსტრუქციების მიხედვით.
- 3.2 კომპანია უფლებამოსილია საკუთარი დისკრეციის ფარგლებში შეაფასოს რამდენად დაცული იქნა მომხმარებლის მიერ ფიტპას ბარათის შექმნის წესი და ადგილი ჰქონდა თუ არა რაიმე ვალდებულების დარღვევას.

### 4. კომპანიის ვალდებულებები

- 4.1 კომპანია ვალდებულია რომ ვებგვერდზე მაქსიმალურად ნათლად აღწეროს ვებგვერდზე იმ სერვისების ჩამონათვალი რისი შექმნაც შეეძლებათ მომხმარებლებს ფიტპას ბარათით.

- 4.2 კომპანია აგრეთვე ვალდებულია მაქსიმალურად ნათლად აღწეროს ვებგვერდზე სერვისის მიწოდების ფორმის, ვადისა და სხვა არსებითი პირობების შესახებ.
- 4.3 კომპანია ვალდებულია ვებგვერდზე ნათლად მიუთითოს ყველა იმ შეზღუდვის შესახებ რაც შეიძლება ვრცელდებოდეს მომხმარებლის მიერ შეძენილ სერვისებზე.
- 4.4 კომპანია მომხმარებელს უფლებას უტოვებს აირჩიოს სურს თუ არა კომპანიისგან სარეკლამო/მარკეტინგული შეტყობინებების მიღება და მოსთხოვოს კომპანიას ან ნებისმიერ მესამე პირს რომ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები არ იქნას გამოყენებული მარკეტინგული მიზნებისთვის.
- 4.5 კომპანია მიიღებს და დაამუშავებს მომხმარებლის მოთხოვნას ფიტპას ბარათით შეძენილ სერვისში/პროდუქტში გადახდილი თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით მხოლოდ იმ პროცედურების და წესების შესაბამისად რაც გაწერილია მომსახურების პირობებში.
- 4.6 თუ კი მომხმარებელს სურს მომსახურების შეწყვეტა, კომპანია ვალდებულია მიიღოს მსგავსი შეწყვეტა იმ პირობით რომ მომხმარებელი მომსახურებას წყვეტს მომსახურების პირობებით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 4.7 თუ კომპანიამ დაადგინა რომ მომხმარებელს, მომსახურების პირობების შესაბამისად აქვს გადახდილი თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, კომპანია უზრუნველყოფს თანხის უკან დაბრუნებას მხოლოდ საბანკო ბარათით (VISA/EC/MC/MAESTRO) გადახდის გზით, რაც გულისხმობს იმას რომ მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე მოხდება თანხის ჩარიცხვა.
- 4.8 კომპანია იღებს ნებისმიერი სახის ნამდვილ საბანკო ბარათს გადახდების განსახორციელებლად, ხოლო საფასურის გადახდა ხორციელდება უშუალოდ ბანკის ვებგვერდის მეშვეობით.
- 4.9 მას შემდეგ რაც გადახდა დასრულდება, კომპანიამ მომხმარებელს ვებგვერდის საშუალებით ან მომხმარებლის მიერ მითითებულ ელფოსტაზე უნდა შეატყობინოს გადახდა წარმატებით განხორციელდა თუ წარუმატებლად. იმ შემთხვევაში როცა გადახდა წარმატებით განხორციელდება კომპანიამ მომხმარებელს უნდა გაუგზავნოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი).
- 4.10 წარუმატებელი გადახდის მცდელობის შემთხვევაში კომპანია მომხმარებელს არ შეატყობინებს მიზეზს, თუმცა ვალდებულია მომხმარებელს საშუალება მისცეს ხელახლა სცადოს გადახდის განხორციელება.

## 5. კონფიდენციალურობის პოლიტიკა

### 5.1 მონაცემთა კონფიდენციალობა

- 5.1.1 მომხმარებელი თავად არის პასუხისმგებელი მის მიერ მითითებული ინფორმაციის სიზუსტეზე. კომპანია არ არის ვალდებული შეამოწმოს მომხმარებლის მიერ მითითებული ინფორმაციის სისწორე, თუმცა იმ შემთხვევაში თუ კი მომხმარებლის მიერ საბანკო ბარათით გადახდისას გამოვლენილი იქნება რაიმე დარღვევა, კომპანია უფლებამოსილია ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ბანკს ან სახელმწიფო ორგანოებს.
- 5.1.2 კომპანია მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს რათა უზრუნველყოს მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დაცულობა.

- 5.1.3 კომპანია პასუხისმგებელია გადახდის ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის შენახვაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი ეს გადახდა ხორციელდება კომპანიის ვებგვერდზე.
- 5.1.4 საბანკო ბარათის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია გადაიცემა საჯარო ქსელით, დაცული (encrypted) ფორმით, SSL (Secure Socket Layer) პროტოკოლისა და PKI სისტემის გამოყენებით. მომხმარებლის მიერ გამოყენებული სერვისის/პროდუქტის შეძენის დროს გამოყენებული საბანკო ბარათის უსაფრთხოება და დაცულობა გარანტირებულია საგადახდო სისტემის ოპერატორის მიერ, შესაბამისად უშუალოდ გადახდის პროცედურა ხორციელდება ბანკის (ან/და საგადახდო სისტემის ოპერატორის) ვებგვერდზე. გადახდისას გამოყენებული საბანკო ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვაზე არ არის პასუხისმგებელი კომპანია.

## 5.2 პერსონალური მონაცემები

- 5.2.1 პერსონალური მონაცემების განმარტება მოცემულია მომსახურების პირობებში რომელიც განთავსებულია კომპანიის ვებგვერდზე და რომელიც აგრეთვე ვრცელდება ნებისმიერ იმ ინფორმაციაზე რასაც მომხმარებელი ხელმისაწვდომს ხდის საფასურის გადახდის დროს.
- 5.2.2 მომხმარებელი გაფრთხილებული უნდა იქნეს საფასურის გადახდის დროს Cookie წესების შესახებ.

## 6. უცხოური ბანკების მიერ გაცემული საბანკო ბარათების გამოყენება

ყველა გადახდა განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). სხვა ვალუტაში სერვისების/პროდუქტების ფასის დადების შემთხვევაში, გადახდისას გამოყენებული იქნება ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი. საბანკო ბარათიდან ჩამოსაჭრელი თანხა ფიქსირდება მომხმარებლის შესაბამის ეროვნულ ვალუტაში. უცხოური ბარათით გადახდის შემთხვევაში, ვალუტის კონვერტაცია მოხდება შესაბამისი კომერციული ბანკის მიერ შესაბამისი დღისთვის დადგენილი კურსით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია რომ წარმოიქმნას სხვაობა კომპანიის ვებგვერდზე განთავსებულ სერვისის ფასსა და მომხმარებლის მიერ რეალურად გადახდილ ფასს შორის.

## 7. საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტა: [info@fitpass.ge](mailto:info@fitpass.ge)  
ტელეფონი: 577 629 629